



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



# ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სუბსიდიანი გეგმის მონიტორინგის ანგარიში

## ნარჩენების ეფექტური მართვა სუფთა გარემოსთვის



## „ნარჩენების ეფექტური მართვა სუფთა გარემოსთვის“

ეს პუბლიკაცია შექმნილია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის *“სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებულებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ა(ა)იპ „ასოციაცია ტოლერანტი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).



# „ნარჩენების ეფექტური მართვა სუფთა გარემოსთვის“

ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის  
მონიტორინგის ანგარიში



ასპინძა 2023

## შინაარსი

1. შესავალი -----	4
2. მონიტორინგის მეთოდოლოგია -----	4
3. ზოგადი ინფორმაცია ასპინძის მუნიციპალიტეტის შესახებ -----	5
4. ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის მოკლე მიმოხილვა, არსებული სიტუაციის ანალიზი -----	5
5. ასპინძის მუნიციპალიტეტში არსებული ნაგვის ბუნკერების ადგილმდებარეობების, მათი მდგომარეობის და დაცლის ინტენსივობის შესწავლა -----	8
6. არაფორმალური-სტიქიური ნაგავსაყრელები -----	10
7. მოსახლეობის გამოკითხვის ანალიზი -----	11
8. ტურისტულ ზონებში მოქმედი მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგები ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავების პერსპექტივებზე მუნიციპალიტეტებში -----	12
9. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ადვოკატირების კამპანიები -----	15
10. მნიშვნელოვანი მიგნებები და დასკვნები -----	17
11. რეკომენდაციები -----	18
12. გამოყენებული ლიტერატურა -----	20

## 1. შესავალი

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის მთელ რიგ დირექტივებთან, მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს მდგრადი განვითარების პრინციპებზე და მიზნებზე დამყარებული ნარჩენების მართვის სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის მოთხოვნებთან. დეკლარირებულია, რომ საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა. ნარჩენების მართვის ეფექტიანობის ზრდისთვის საჭიროა ნარჩენების მართვის შესახებ განათლებისა და ინფორმირების შესახებ ერთიანი სისტემის შექმნა, რომლის რეალიზებაში ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული პირი, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ასოცირების ხელშეკრულების და ქვეყნის ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად ჩამოყალიბდა და დამტკიცებული იქნა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა 2018-23 წწ.

ასპინძის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის განხორციელების მონიტორინგი ჩატარდა ასოციაცია „ტოლერანტის“ მიერ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDC) მიერ მხარდაჭერილი პროექტის „მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში.

**მონიტორინგის მიზანი:** ჩატარებული კვლევის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და სისტემის შეფასება, ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება.

მონიტორინგის განხორციელების პერიოდი: 2021 წლის 1-ლი ნოემბერი - 2022 წლის 1-ლი ნოემბერი.

### პროექტის მონიტორინგის ჯგუფი

- ცირა მესხიშვილი - პროექტის კოორდინატორი
- მარიამ კაპანაძე - პროექტის პროგრამის ასისტენტი
- ინგა ცუცქერიძე - ასისტენტი
- თამარ სამსონიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი
- ექსპერტი - ხათუნა ჩიკვილაძე

## 2. მონიტორინგის მეთოდოლოგია

ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მონიტორინგი განხორციელდა პროექტის „ნარჩენების ეფექტური მართვა სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში (2021-22 წწ)

მონიტორინგის გეგმის მიხედვით პირველ რიგში შესწავლილ იქნა არსებული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ნარჩენების მართვის საკითხს, კერძოდ: როგორ ხდება მუნიციპალიტეტის დონეზე ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, აკმაყოფილებს თუ არა არსებული რესურსები სტანდარტებს და რა გამოწვევების წინაშეა დასუფთავების სამსახურები. გავეცანით ყველა დოკუმენტს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს, რომელიც 2018–2021 წლებში გამოიგა ნარჩენების მართვის გეგმასთან დაკავშირებით. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიიდან, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოძიებული გაცნობილი იქნა ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა და 2020–21 წლების გეგმების შესრულების ანგარიშები.

ჩაწერილი იქნა ინტერვიუები რეგიონის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილის, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის, აიპი ასპინძის კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორის, დასუფთავების ზედამხედველობის წარმომადგენლებთან.

ჩატარდა ასპინძის მუნიციპალიტეტში მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვა ნარჩენების მართვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების დონის შეფასების მიზნით. მუნიციპალიტეტის დაბასა და სასოფლო თემებში გამოკითხა: სკოლების პედაგოგები და უფროსკლასელი მოსწავლეები, სოფლებში მცხოვრები ფერმერები, სტუდენტები ასპინძის მუნიციპალიტეტიდან და ტურისტულ ზონებში მომსახურე მცირე ბიზნესის წარმომადგენლები – სულ 180 ადამიანი, მომზადდა ორი ტიპის კითხვარი.

მოეწყო მონიტორინგის ჯგუფის სავლე გასვლები დაბასა და დანარჩენ 10 ადმინისტრაციულ ერთეულში, მონიტორინგის ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა ადგილობრივ მოსახლეობას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული არსებული სიტუაციის, ნაგვის კონტეინერული სისტემის მომსახურების დონის, სოფლებში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების მდგომარეობისა და სტიქიური ნაგავსაყრელების შესახებ ინფორმაციების მოძიების მიზნით. განხორციელდა მოპოვებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი, მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები, პოსტერები და გამაფრთხილებელი ნიშნები, ერთი სატელევიზიო სიუჟეტი, შემუშავდა რეკომენდაციები.

მონიტორინგის შედეგები ეფუძნება ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების შესწავლას, ინტერვიუებს, მოქალაქეების გამოკითხვის, სავლე გასვლების და შეხვედრების დროს მიღებულ ინფორმაციებს.

პროექტის მართვის ჯგუფი მადლობას უხდის ასპინძის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ როსტომ მაგრაქველიძეს, მოადგილეებს: ბატონ დავით პაპაშვილსა და ლევან ბერიძეს აიპი „კეთილმოწყობის სამსახურის“ უფროსს ბატონ გიორგი გვარამაძეს, სამსახურის თანამშრომლებს, დაბა ასპინძის, ოშორის, დამალის, რუსთავის, ტოლოშის, ხიზაბავრის სკოლების დირექტორებს და ამ სკოლების ეკოკლუბის წევრებს, ასპინძის რესურსცენტრის ხელმძღვანელს ბატონ ტრისტან მურადაშვილს, ასპინძის მერიის აპარატის უფროსს ქალბატონ დარეჯან ზღუდაძეს, თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისათვის.

### **3. ზოგადი ინფორმაცია ასპინძის მუნიციპალიტეტის შესახებ**

- მოსახლეობა 10500
- ფართობი- 828 კმ 2
- დასახლებული პუნქტი 26
- დაბა- 1
- დაბაში მაცხოვრებელთა რაოდენობა: 2800
- სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა: 7800
- საკურორტო დასახლებებში: 2800
- წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა: 60000

### **4. ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მოკლე მიმოხილვა, არსებული სიტუაციის ანალიზი**

ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა დამტკიცებული იქნა საკრებულოს მიერ 2017 წლის 25 დეკემბერს N 70/12 ;

საკრებულოს მიერ შეტანილი დამატებები და ცვლილებები მუნიციპალური ნარჩენების 5 წლიან მართვის გეგმაში: 2020 წლის 27 მარტი N 17 / 12 განკარგულებით

ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დროს ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენდა 280 ათას ლარს.

2021 წლის საანგარიშო წლის მიხედვით კი ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი იყო 380000 ლარი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციით წლიურად 2021 წლის მონაცემებით კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში გროვდება 3500 ტონა ნარჩენი. წარმოქმნილი ნარჩენებიდან, უმეტესი წილი მოდის ორგანულ ნარჩენებზე (43-47%). სხვა სახის ნარჩენებიდან, აღსანიშნავია პლასტიკის ნარჩენების (12-14%), მაკულატურის (10- 12%), ლითონის (3%) და მინის (2-4%) შემცველობა.

მოსახლეობის რაოდენობა, ვისაც მიეწოდება სერვისი 2021 წლის მონაცემებით - 8500 მოსახლეს შეადგენს.

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა, სეპარირების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, ტრანსპორტირებული იქნას და დამუშავდეს იმ წესით, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს გარემოს დაბინძურებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს. ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია, მთავრობის დადგენილებით „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ (დადგენილება #159, 01.04.2016).

**მუნიციპალიტეტი ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით ემსახურება:**

- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებას და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებას;
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების ტრანსპორტირება დამუშავებასა და განთავსებას ობიექტებზე, სადაც ნებადართულია ამგვარი ნარჩენების მიღება;
- მუნიციპალური ნარჩენების დამუშავების ხელშეწყობას;
- მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივ დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებას.

**კვლევის შედეგები:**

ჩატარებული მოკვლევა გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას მუნიციპალიტეტში წარმოადგენს არასაკმარისი ან/და მოძველებული ნაგავმზიდი ტექნიკა. (იხ. ცხრილი)

		რაოდენობა	მოდელი	გამოშვების წელი	შემენის თარიღი	მდგომარეობა
ნაგავმზიდი ექნიკა						
სპეც. ავტომანქანა		1	Mercedes-benz	2016 წ.	2017 წ.	მუშა
სპეც. ავტომანქანა		1	Mercedes-benz	2016 წ.	2017 წ.	მუშა
4 თვითმცლელი		1	ZIL-432932	2009 წ.	2009 წ.	გამოსულია მწყობრიდან

როგორც, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, ტექნიკა ხშირად გამოდის მწყობრიდან. 2018 წლის შემდეგ ეს მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა. ამ უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტში საკმაოდ მოიმატა ტურისტების ნაკადმა, შესაბამისად, მოიმატა ნარჩენების რაოდენობამაც, სპეცტექნიკის ეს მდგომარეობა კი სავსებით არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის მომსახურებისათვის. მუნიციპალიტეტის მერიამ ტექნიკის შესაძენად უცხოელ დონორებსაც მიმართა, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს არ გააჩნია საქმიანი ეზო, სამრეცხაო. ამის შესაბამისად არ არის შესაძლებლობა ადგილობრივად განხორციელდეს ტექნიკის მიმდინარე შეკეთება. ნაგავმზიდი ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურებაზე მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად აცხადებს ტენდერს და ტრანსპორტის სერიოზული დაზიანების შემთხვევაში მომსახურება ხდება ამ ტენდერების ფარგლებში. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით 2021 წლის განმავლობაში ტექნიკის მომსახურებაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა სულ 885 ლარი ზეთის, ხუნდების შეცვლისა და გაგრილების სითხის შესაძენად.

### **მუნიციპალიტეტის მოსაკრებლები:**

ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მოსაკრებელი რაოდენობა განსაზღვრული იყო ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №8 დადგენილებით, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის 13 თებერვალს.

აღნიშნული დადგენილება აწესრიგებდა მოსაკრებლის გაანგარიშებისა და გადახდის წესებს. დოკუმენტის შესაბამისად, მოსაკრებლის გადამხდელები ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირები, ორგანიზაცია-დაწესებულებები და მოსახლეობა იყო. მოსახლეობის საგადასახადო ტარიფი განსაზღვრული იყო ერთ სულზე 0.50 ლარი, ხოლო იურიდიული პირების – დაკავებული ფართობის მიხედვით დამტკიცებული ტარიფებით. ამჟამად მუნიციპალიტეტი სარგებლობს ნარჩენების მომსახურებაზე მოსაკრებლის დამტკიცების 2020 წლის 22 იანვრის ახალი დადგენილებით, სადაც დამტკიცებული მოსაკრებლის ოდენობა ფიზიკური პირებიდან კვლავ 0,50 ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან მოსაკრებლის ამოღება ხდება ისევ ფართობის მიხედვით დადგენილი ტარიფებით, კერძოდ: 15 ლარი ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე (ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მისი ოდენობის დადგენის შესახებ, იანვარი, 2020 წელი, #1) კვლევამ გვიჩვენა, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მოსაკრებელს იხდის მხოლოდ დაბა ასპინძის მოსახლეობა, რომლის ამოღება ხდება კეთილმოწყობის სამსახურის ზედამხედველობის წარმომადგენლისა და ინკასატორის მეშვეობით.

გვაქვს 2021 წლის მონაცემებიც, რომლის თანახმადაც დაბა ასპინძის მოსახლეობის მიერ გადახდილი მოსაკრებელი შეადგენს 7 ათას ლარს, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსაკრებლის მხოლოდ 30%-ია. რაც შეეხება სოფლებს, აქედან მოსაკრებლების ამოღება ჯერ კიდევ არ ხერხდება.

ინტერვიუს დროს კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არ ჰყავთ ინკასატორების საკმარისი რაოდენობა, ვინც გადასახადის ამოღებას უზრუნველყოფს სოფლად. ამასთანავე სოფლის დასახლებებში ძირითადად ურნები დგას მხოლოდ ცენტრალურ გზებზე და არა ყველა უბანში, ამის გამო მთლიანად სოფელი სრულყოფილ სერვისს ვერ იღებს. სოფლად ამ სახის გადასახადების ამოღების ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი უკეთესია და 2021 წლის მიხედვით შეადგინა 90 %.



## 5. ასპინძის მუნიციპალიტეტში არსებული ნაგვის ბუნაქების ადგილმდებარეობების, მათი მდგომარეობის და დასლის ინფენსივობის შესწავლა

ასპინძის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას ახორციელებს შპს „ასპინძის კეთილმოწყობა“, რომელიც შექმნილია 2010 წელს „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.

2014 წლიდან შპს „ასპინძის კეთილმოწყობამ“ შეიცვალა სტატუსი და ამჯერად იწოდება აიპი „ასპინძის კეთილმოწყობად“. აიპი „ასპინძის კეთილმოწყობა“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე



ახორციელებს: ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავებას, მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვებას და გატანას, ნარჩენების შეგროვებას მოსახლეობიდან, კომერციული და სხვა დანიშნულების დაწესებულებებიდან, უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას ნაგავსაყრელამდე. ემსახურება ქუჩების დასუფთავებას, ბაღის

ნარჩენებისა და მკვდარი ცხოველების გატანას. 2020 წლის მონაცემებით კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ქუჩების დასუფთავება დაბა ასპინძაში 117559 კვ.მ, პარკების, სკვერების–7398 კვ.მ, ადმინისტრაციული შენობების 2000 კვ.მ ფართობს მოიცავს; ხელშეკრულების საფუძველზე აიპი „ასპინძის კეთილმოწყობა“ ასევე ახორციელებს სამშენებლო ნარჩენების გატანას, თუმცა მუნიციპალიტეტს არ აქვს სამშენებლო ნარჩენებისათვის ცალკე ნაგავსაყრელი და აქედან გამომდინარე არც თუ იშვიათად სამშენებლო ნარჩენი ასევე ხვდება ნარჩენების პოლიგონზე.

### მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემები:

ა. კონტეინერული: კონტეინერები ნარჩენების შესაგროვებლად დაბაში განლაგებულია საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს. კონტეინერების დაცლა ხდება განსაზღვრულ ინტერვალებში სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით. კონტეინერები განთავსებულია სულ 26



დასახლებულ პუნქტში: დაბის ტერიტორიაზე განთავსებულია 1 მ<sup>3</sup>-ის ტევადობის 134 ცალი კონტეინერი, ხოლო სოფლებში ასევე 1 მ<sup>3</sup>-ის ტევადობის 116 ცალი კონტეინერი. სულ მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2021 წლის მონაცემებით დაბა ასპინძასა და 11 ადმინისტრაციულ ერთეულში ამჟამად განთავსებულია 250 ნაგვის კონტეინერი. თუ შევადარებთ 2018 წელს ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების პირველ პერიოდს, გეგმაში მითითებულია ასპინძის მუნიციპალიტეტში

არსებული კონტეინერების რაოდენობა დაახლოებით 239 ცალი სოფლებსა და დაბაში

მომსახურებისათვის. 5-წლიანი გეგმის მიხედვით, ასევე გათვალისწინებული იყო, რომ 2020 წლისთვის ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა 3000 ლარი და შეძენილი იქნებოდა ეკლესია-მონასტრებთან და ტურისტულ ზონებში დამატებით 6 კონტეინერი. გეგმის თანახმად, ასევე უნდა ყოფილიყო შეძენილი დანა ასპინძისა და ტურისტული ზონების მომსახურებისათვის მცირე ზომის ურნები. ამჟამად მოსახლეობას ემსახურება 15 მცირე ზომის ურნა, რომელიც ძირითადად განლაგებულია დანა ასპინძის სკვერში და ნაწილობრივ სხვადასხვა ტურისტულ ზონებში.

დაბა ასპინძის ტერიტორიაზე განლაგებული კონტეინერების დაცლა ხორციელდება ყოველდღე, ხოლო სოფლებსა და გზაზე განთავსებული კონტეინერების დაცლა-კვირაში 1-2 ჯერ სეზონის მიხედვით, გამოიყენება ზარით შეგროვების სისტემა\*.

აიპი „ასპინძის კეთილმოწყობას“ შემუშავებული აქვს ნარჩენების გატანის განრიგი, რომელშიც მითითებულია ქუჩებისა და სოფლების დასახელებები და ნარჩენების გატანის დრო. აქვს შემუშავებული სპეცმანქანების მოძრაობის მარშრუტები. მონიტორინგის პროცესის დროს სავსე გასვლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რომ ნარჩენების მართვის 5-წლიან გეგმაში მითითებული სოფლები თოკი, ვარგავი, ორგორა, სახუდაბელი, ჭობარეთი, ძველი, კვლავ ვერ სარგებლობენ ნარჩენების გატანის სერვისებით. როგორც მერიის სამსახურების წარმომადგენლები აღნიშნავენ, აღნიშნული სოფლების გეოგრაფიული მდებარეობა იმდენად რთულია, რომ სპეცმანქანა ვერ უდგება ამ სოფლებს, მეორე მუნიციპალიტეტს ჯერ კიდევ არ ჰყავთ ისეთი ტიპის უფრო მომცრო ზომის მობილური სპეცმანქანები, რომლებიც უსაფრთხოდ შეძლებენ ამ რთულ რელიეფზე მოძრაობას. განსხვავებულია სოფელ აწყვიტის მოსახლეობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, სადაც, როგორც ისინი ამბობენ, წლების განმავლობაში არ მიდის ნაგავშიდი, ამასთანავე სოფელს არ ჰქონია ნაგვის კონტეინერები. მონიტორინგის ჯგუფის მიერ სკოლებში კვლევების ჩატარების დროს გარკვეული იქნა ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ წლებში აწყვიტის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ეკოკლუბების საქმიანობებში აქტიურად არიან ჩართულები და სკოლის მოსწავლეებმა სასკოლო გრანტების ფარგლებში შეიძინეს ორი ბუნკერი, რომელიც დადგეს სკოლასთან და რიტუალების სახლთან. მიუხედავად ამისა, ამბობს მოსახლეობა დღემდე ამ ბუნკერების დაცლა არ ხდება და ბუნებრივია, ეს ნარჩენი კვლავ ბუნებაში ხვდება.

მონიტორინგის ჯგუფმა სოფელ აწყვიტის შესახებ მოპოვებული ეს ინფორმაცია მიაწოდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას, შესაბამის ორგანოებს. მერიის კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენლები ამბობენ, რომ სკოლა, რომელმაც შეიძინა ეს ურნები ვალდებულია გააფორმოს მომსახურების ხელშეკრულება კეთილმოწყობის სამსახურთან, წინასწარ აცნობოს ამის შესახებ, რადგან სოფლებში გადაადგილებისათვის სპეცმანქანის საწვავის და მომსახურების ხარჯები ბიუჯეტში წინასწარ არის გათვალისწინებული და ურნების რაოდენობა დათვლილი. ობიექტის დამატების შემთხვევაში კი კეთილმოწყობის სამსახურის ბიუჯეტში ფინანსურად უნდა იყოს ასახული წინასწარ. მათივე ინფორმაციით, ამის შესახებ არაერთხელ ეცნობა სოფლის რწმუნებულსაც და სკოლის დირექტორსაც.

ასპინძის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის პროცესს ამჟამად ემსახურება ორი მძღოლი და ორი მუშა ოპერატორი. სულ დასუფთავების სამსახურში დასაქმებულია 74 ადამიანი, მათ შორის 49 მეეზოვე. მონიტორინგის პროცესში ასევე მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში 2022 წლის აპრილის თვიდან დასუფთავების სამუშაოებზე დამატებით დასაქმებულია 400-ზე მეტი სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი. როგორც გაირკვა, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 2022 წლის 17 თებერვლის განკარგულების

\* ზარით შეგროვების სისტემა - სისტემა, რომლის დროსაც სოფელში, ან გარკვეულ ლოკაციაზე ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება. მას შემდეგ, რაც შეგროვდება გარკვეული რაოდენობის ნაგავი, რეკავენ სოფლიდან დასუფთავების სამსახურში და ითხოვენ გააგზავნონ მათთან მანქანა და გაიტანონ ნარჩენები.

თანახმად, ყველა მუნიციპალიტეტში 2022 წლის 1-ლი აპრილიდან უნდა დაწყებულიყო სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსის მქონეთა დასაქმება და ასპინძის მუნიციპალიტეტმა ამ ოჯახებს შესთავაზა დასაქმება-დასუფთავების სფეროში. მათი ვალდებულებაა სოფლების მიმდებარე ტერიტორიებისა და გზების პირების დასუფთავება, დალაგება.

## 6. არაფორმალური-სტიქიური ნაგავსაყრელები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასპინძის ოფიციალური ნაგავსაყრელის გარდა, არსებობს ე.წ. არაფორმალური, სტიქიური ნაგავსაყრელები, სადაც მოსახლეობა ათავსებს ნარჩენებს.

აღნიშნული ადგილები ნარჩენების განსათავსებლად გამოყენებული იყო ისეთ ზონებში, რომელიც ტექნიკისათვის მიუწვდომელია და მოქმედებდა წლების განმავლობაში.



ნარჩენების მართვის ხუთ წლიანი სამოქმედო გეგმის შედგენის დროს 2018 წელს მუნიციპალიტეტში აღრიცხული იყო სულ 10 სტიქიური ნაგავსაყრელი. ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული იყო ყველა ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია, თუმცა მერამ 8 ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია შეძლო. როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, დარჩენილია 2 სტიქიური ნაგავსაყრელი. თუმცა, ჩვენს მიერ დაფიქსირებული მონაცემებით სტიქიური ნაგავსაყრელები მუნიციპალიტეტში უფრო მეტია რაოდენობრივად, რომლის ლიკვიდაციაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება. რამდენიმე სტიქიური ნაგავსაყრელი, მონიტორინგის ჯგუფის მიერ საველე სამუშაოების დროს იქნა

დაფიქსირებული ორგორის, ვარგავის მიდამოებში, ღრმა ხეობებში, რომლის გატანა დღემდე საკმაოდ გაძნელებულია ტრანსპორტის მიუდგომლობისა და მოუხერხებელი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, როგორც ამას კეთილმოწყობის სამსახურები აღნიშნავენ.

წლების განმავლობაში დაგროვილ ასეთ პრობლემებს სოფლებში საბოლოოდ სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნამდე მივყავართ. სტიქიური ნაგავსაყრელების აღმოფხვრის ვალდებულება ასპინძის მუნიციპალიტეტს ნარჩენების მართვის გეგმაში აქვს გაწერილი 2022 წლამდე, მაგრამ როგორც ინტერვიუს დროს გამოვლინდა, მერიაში ჯერ არ აქვთ პასუხი, თუ როგორ მოხდება და რა სახსრებით სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია.

თუ შევაჯამებთ ჩვენს მიერ მოპიებული ინფორმაციას სტიქიურ ნაგავსაყრელებთან დაკავშირებით, შედეგად ნათლად დავინახავთ, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს არ აქვს საკმარისი ტექნიკური აღჭურვილობა და ადამიანური რესურსი. ამის გამო, ნარჩენების გატანა ხდება მხოლოდ იმ ადგილებიდან, რომლებიც პრიორიტეტულია სხვადასხვა მიზეზებით. ცენტრიდან მოშორებული სოფლები ვერ სარგებლობენ დასუფთავების მომსახურებით, რის გამოც მოსახლეობა ნარჩენებს ყრის მდინარეებსა და ხევებში, სწორედ ასე ჩნდება არაკონტროლირებადი/სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც განაპირობებენ გარემოს დაზინძურებას, ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება იყოს სასმელი წყლის დაზინძურების, შინაური ცხოველების დასნეულებისა და ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი ფაქტორები.

## ოფიციალური მუნიციპალური / არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხორციელდება ოფიციალურად რეგისტრირებულ ნაგავსაყრელზე.



აღნიშნულ ტერიტორიაზე ნარჩენების განთავსება დაიწყო 1975 წლიდან, 2013 წელს ნაგავსაყრელის ტერიტორია გადაეცა საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას სამართავად. კანონმდებლობის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტში დღეისათვის მოქმედ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელს აქვს არსებული ნაგავსაყრელის სტატუსი და ოპერირებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული შესაბამისობაში მოყვანის გეგმის მიხედვით. ნაგავსაყრელის

ტერიტორიის ფართობი შედაგენს 14000 მ<sup>2</sup>. ნარჩენებით დაფარული ტერიტორიის ფართობი - 8000მ<sup>2</sup>. სავარაუდოდ, აღნიშნულ ნაგავსაყრელზე განთავსებულია 6000 ტ-ზე მეტი მოცულობის მქონე ნარჩენი.

2021 წლის მონაცემით ნაგავსაყრელზე მუნიციპალიტეტის მიერ, შეტანილი და განთავსებული იქნა 1015 ტონა მუნიციპალური ნარჩენი. ნაგავსაყრელის მართვას ახორციელებს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, რომელიც, წარმოადგენს სახელმწიფო კომპანიას და ექვემდებარება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის იურისდიქციაში არ შედის. ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების პოლიგონს ემსახურება ოთხი დამლაგებელი, ერთი მძლავრი და ორი ოპერატორი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად უკანასკნელ წლებში მუნიციპალური ნაგავსაყრელის მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებისა, მთლიანად საქართველოში არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ მუნიციპალიტეტებში მოქმედი ნაგავსაყრელების უმრავლესობა არ შეესაბამება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს და ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო დირექტივებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გამონაკლისს, რა თქმა უნდა, არც ასპინძის ნარჩენების პოლიგონი წარმოადგენს.

## 7. მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის გამოკითხვა ნარჩენების მართვისა და მუნიციპალიტეტში არსებული მომსახურეობის შესახებ მათი ცნობიერების დონის დადგენისათვის. კვლევის დაწყებამდე შერჩეული იქნენ მიზნობრივი ჯგუფები: სკოლების პედაგოგები და უფროსკლასელები, რომელიც მონაწილეობდნენ ეკოკლუბების მუშაობაში და ჩართულები იყვნენ გარემოსდაცვით სხვადასხვა საქმიანობებში, სოფლებში მცხოვრები ფერმერები, სტუდენტები ასპინძის მუნიციპალიტეტიდან, ტურისტულ ზონებში მოქმედი მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, სულ 180 რესპონდენტი. შემუშავდა ორი სახის კითხვარი, ერთი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების გამოკითხვისთვის, მეორე ტურისტულ ზონებში მოქმედი მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის. თუ მოკლედ მიმოვიხილავთ მიზნობრივი გამოკითხვის შედეგებს, ძირითად მიგნებები ასეთია: **(დეტალური ანალიზი დიაგრამებით იხილეთ დანართი #1)**

- გამოკითხული ჯგუფების მხოლოდ 12% აქვს ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის არსებობის შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში;
- გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 8% ამბობს, რომ მონაწილეობა მიიღეს ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის განხილვაში – რესპონდენტების ეს მცირე ნაწილი სკოლის მასწავლებლები და დირექტორები არიან;
- გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 30% აღნიშნავს, რომ იხდის ნარჩენების მართვის მოსაკრებელს;
- გამოკითხული რესპონდენტების 62%-მა კარგად იცის, რომ მუნიციპალიტეტში არის სტიქიური ნაგავსაყრელები. ასეთი მაჩვენებელი განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ რესპონდენტების უმეტესობა სოფლის მაცხოვრებელია და სოფლების მიდამოებში ყველაზე კარგად ჩანს სტიქიური ნაგავსაყრელის არსებობა;
- კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხული ჯგუფების მხოლოდ 12%-მა იცის რას ნიშნავს ნარჩენების სეპარაცია;
- ჯგუფების 78% არ ფლობს ინფორმაციას ნარჩენების რეციკლირებისა და გადამამუშავებელი საწარმოების შესახებ;
- გამოკითხული რესპონდენტების 57% თვლის, რომ არ არის საკმარისი ურნები და არ არის კმაყოფილი სოფლებში ნარჩენების მართვის პროცესით;
- გამოკითხული რესპონდენტების 62%-ს აქვს სურვილი რომ ჩაერთოს ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვით საგანმანათლებლო კამპანიებში;
- გამოკითხული ფერმერების 75%-ს არ აქვს ინფორმაცია კომპოსტირებისა და ნარჩენების გადამამუშავების მნიშვნელობის შესახებ, რომელმაც შეიძლება სარგებელი მოუტანოს მათ ფერმერული მეურნეობის განვითარებაში.

## **8. ტურისტულ ზონებში მოქმედი მცირე ბიზნესის ნარჩენადგენელთა გამოკითხვის შედეგები ნარჩენების სეპარაციისა და გადამამუშავების პერსპექტივებზე მუნიციპალიტეტებში**

მონიტორინგის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტში ჩატარდა აგრეთვე ტურისტულ ლოკაციებზე მოქმედი ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა გამოკითხვა წინასწარ მომზადებული კითხვარების მიხედვით სულ გამოიკითხა 20 რესპონდენტი (შეირჩა უფრო მეტად აქტიური და სტაბილურად მოქმედი ბიზნესობიექტები მუნიციპალიტეტში: სასტუმროები, რესტორნები, სუპერმარკეტები.

(დეტალური ანალიზი იხილეთ თანდართულ ცხრილში)

1.	სად ხდება თქვენი ბიზნეს ობიექტის მიერ წარმოებული ნარჩენების განთავსება?	
	ობიექტის მიმდებარე კონტეინერში	<b>70%</b>
	საჭიროების შემთხვევაში პირდაპირ მიმაქვს ნაგავსაყრელზე	<b>20%</b>
	ჩემს სამრეწველო ობიექტთან	<b>5%</b>
	მიჭირს პასუხის გაცემა	<b>5%</b>

<b>2.</b>	<b>გექმნებათ თუ არა რაიმე ტიპის პრობლემა ნარჩენების გატანის პროცესში?</b>	
	არ არის საკმარისი კონტეინერები	<b>40%</b>
	გადახდილი გადასახადის შესაბამისად კეთილმოწყობის სამსახური არ გვემსახურება სათანადოდ	<b>40%</b>
	გვიან იცლება კონტეინერები	<b>10%</b>
	არ გვაქვს საშუალება დავახარისხოთ ნარჩენი	<b>10%</b>
<b>3.</b>	<b>ძირითადად რა ტიპის ნარჩენები გიგროვდებათ მუშაობის პროცესში?</b>	
	საკვების ნარჩენები	<b>20%</b>
	პოლიეთილენის პარკი	<b>16%</b>
	პლასტმასის ბოთლი	<b>20%</b>
	მინის ნაწარმი	<b>10%</b>
	სხვადასხვა (შერეულ) ტიპის ნარჩენი	<b>4%</b>
	ქაღალდი	<b>20%</b>
	ზეთი	<b>10%</b>
<b>4.</b>	<b>ზოგადად ფლობთ თუ არა რაიმე ტიპის ინფორმაციას ნარჩენების სეპარაციასთან დაკავშირებით?</b>	
	დიახ	<b>40%</b>
	არა	<b>30%</b>
	მიჭირს პასუხის გაცემა	<b>30%</b>
<b>5.</b>	<b>გაქვთ თუ არა სურვილი ჩაერთოთ ნარჩენების სეპარაციის პროცესში?</b>	
	დიახ	<b>75%</b>
	არა	<b>15%</b>
	მიჭირს პასუხის გაცემა	<b>10%</b>
<b>5.1</b>	<b>თუ კი რა კუთხით შეძლებთ ჩართვას?</b>	
	გავივლი ტრენინგებსა და კურსებს ნარჩენების მართვის თემაზე	<b>50%</b>
	დავესწრები შეხვედრებსა და განხილვებს ამ თემასთან დაკავშირებით	<b>25%</b>
	მოვიძებ ინფორმაციას ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოებზე და შევეცდები ვაწარმოო მოლაპარაკება	<b>10%</b>

<b>6.</b>	<b>გაქვთ თუ არა შესაძლებლობა, რომ თქვენი ბიზნეს ობიექტის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების სეპარაცია თავადვე განახორციელოთ?</b>	
	დიახ	<b>40%</b>
	არა	<b>30%</b>
	მიჭირს პასუხის გაცემა	<b>30%</b>
<b>7.</b>	<b>გაქვთ თუ არა ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით მოქმედ რომელიმე ტიპის ნარჩენების შემგროვებელი და გადამამუშავებელ საწარმოს შესახებ?</b>	
	არა	<b>60%</b>
	დიახ	<b>30%</b>
	მიჭირს პასუხის გაცემა	<b>10%</b>
<b>7.1</b>	<b>თუ კი გთხოვთ, რომ მოგვაწოდეთ მის შესახებ ინფორმაცია</b>	
	ქალაქისა და პლასტმასის შემგროვებელი საწარმო ქ. ახალციხეში	<b>10%</b>
	თბილისში მინის ბოთლების გადამამუშავებელი საწარმო	<b>5%</b>
	ზეთის გადამამუშავებელი საწარმო	<b>15%</b>
<b>7.2</b>	<b>დადებითი პასუხის შემთხვევაში, გაქვთ თუ არა მათთან კონტაქტი და აწვდით თუ არა გადამამუშავებელ ნარჩენებს?</b>	
	არა	<b>80%</b>
	დიახ	<b>20%</b>
<b>7.3</b>	<b>ისურვებდით თუ არა ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოებთან აქტიურ თანამშრომლობას და უკვე სეპარირებული ნარჩენების მიწოდებას?</b>	
	დიახ	<b>70%</b>
	არა	<b>20%</b>
	შესაძლებლობების ფარგლებში	<b>10%</b>
<b>8.</b>	<b>თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სახელმწიფომ ხელი შეუწყოს და წახალისოს ბიზნეს ობიექტები ნარჩენების სწორად მართვასთან და სეპარაციასთან დაკავშირებით?</b>	
	სეპარირებისათვის საჭირო ურნების დამატებით	<b>35%</b>
	მომხმარებელთა ცნობიერების გაზრდით	<b>35%</b>
	გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედების ხელშეწყობით	<b>25%</b>
	ბიზნეს ობიექტებისათვის სახელმწიფოს ხელშეწყობით მინი გადამამუშავებელი ტექნიკის შესაძენა	<b>5%</b>
<b>9.</b>	<b>გსმენიათ თუ არა ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შესახებ?</b>	
	არა	<b>70%</b>
	დიახ	<b>25%</b>
	მიჭირს პასუხის გაცემა	<b>5%</b>

10.	როგორ ფიქრობთ თუ მოგეწოდებათ ინფორმაცია ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების შესახებ გექნებათ თუ არა სურვილი ჩაერთოთ მის შემუშავებასა და განხილვაში?	
	დიახ	60%
	არა	20%
	მიჭირს პასუხის გაცემა	20%
11.	იგივე თუ არა რას ნიშნავს მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა?	
	დიახ	5%
	არა	85%
	მიჭირს პასუხის გაცემა	10%

## 9. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ადვოკატირების კამპანიები

პროექტის ფარგლებში ასოციაცია „ტოლერანტის“ მონიტორინგი ჯგუფის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში განახორციელა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მხარდამჭერი საქმიანობებიც:

- ჩატარდა ორი ტრენინგი მოწვეული ექსპერტების ჩართულობით, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებისა და სოფლების რწმუნებულებისათვის ნარჩენების მართვის და გარემოსდაცვის თემებზე;
- ჩამოყალიბდა ეკომოხალისეების ჯგუფი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და სკოლების უფროსკლასელების ჩართულობით;
- ეკომოხალისეებს ჩაუტარდათ საინტერესო ტრენინგ -სემინარები ნარჩენების მართვისა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოწვეული ექსპერტების ჩართულობითა და მონაწილეობით;
- მოეწყო ასპინძის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია, ასპინძის აქტიური მოქალაქეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის, ეკომოხალისეების ჩართულობით;

დედამიწის დღეს მიემდვნა მთელი რიგი ღონისძიებები ასპინძის მუნიციპალიტეტის სკოლების, ეკოკლუბების, სხვა შემოქმედებითი ჯგუფების ჩართულობით: მოეწყო რაბათის ციხის



ტერიტორიაზე ნარჩენებისაგან დამზადებული ნაკეთობების გამოფენა; ჩატარდა მასტერკლასები და სხვადასხვა სახის კონკურსები გამოვლინდნენ გამარჯვებულები და დაჯილდოვდნენ მონაწილეები.

ასპინძის ეკომოხალისეების წარმომადგენლები იყვნენ ღონისძიების როგორც მომზადების, ასევე განხორციელების პროცესში ჩართულები. მათ გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები - მაისურები, კეპები, ჩანთები, პროექტის დამფინანსებელი დონორისა და განხორციე-

ლებული ორგანიზაციების ლოგოებით. დამზადდა საინფორმაციო ბროშურები რამდენიმე თემაზე: რა არის სეპარირება, კომპოსტირება და მისი მნიშვნელობა, რას ნიშნავს ნარჩენების მართვა და ა.შ.



ჩატარდა დისკუსიები და ადგილობრივ ბიზნეს სექტორთან შეხვედრები. ჩაუტარდათ ძალიან საინტერესო სემინარები, მეწარმე ქალებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის.

ჩატარდა ტრენინგი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, სეპარაციის, რეციკლირების თემებზე მოწვეული ექსპერტების ჩართულობით.

ღონისძიება აგრეთვე მხარდაჭერილი იქნა ასპინძის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ. პირველად, სამცხე-ჯავახეთის ისტორიაში, პროექტის ფარგლებში მოეწყო ეკომოხალისეების მონაწილეობით სასწავლო-გაცნობითი ტური, საქართველოში არსებული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების (პლასტმასის, ქაღალდის, მინის, ზეთის) დათვალიერების მიზნით. სულ ასპინძის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდა 18 ეკომოხალისე.



## 10. მნიშვნელოვანი მიზნები და დასკვნები

თუ შევაჯამებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ მონიტორინგის შედეგებს და კვლევებს, მათი ანალიზი გვიჩვენებს:

- პირველ რიგში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ არ იყო გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა და გეგმის შემუშავების პროცესი წარიმართა მოსახლეობასთან თანამშრომლობის დაბალი ხარისხით;
- ადგილობრივი თვითმმართველობა ასპინძის ტერიტორიაზე გეგმის თანახმად ვალდებულების ფარგლებში სათანადოდ არ უწყობს ხელს საზოგადოებისათვის ეკოლოგიური განათლების (მათ შორის არაფორმალური გზით) ხელმისაწვდომობასა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას;
- ასპინძის მუნიციპალიტეტში შემუშავებული ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში საქმიანობების შესრულება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს, მაგრამ არ აქვს შემუშავებული ყოველწლიური ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც უფრო მეტად გაუადვილებდა 5 წლიანი გეგმის შესრულების ინდიკატორების გაზომვას;
- მართალია 2018 წელს ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების შემდეგ, მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა, ნარჩენების მართვის კუთხით შესამჩნევად გაუმჯობესებულია - დაბასა და სოფლებში დამატებით განთავსებულია ნაგვის კონტეინერები, თუმცა მათი რაოდენობა არ არის საკმარისი მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის შედგომ პერიოდში შეძენილი კონტეინერების რაოდენობა სულ 250 ერთეულს აღწევს, რაც მუნიციპალიტეტის მზარდი ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე არასაკმარისია;
- მართალია არსებული სტიქიური ნაგავსაყრელიდან უმეტესი ლიკვიდირებულია და მერიის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლების მიერ დამატებით ხდება სოფლებში, ხევებში, მდინარეებისა და გზების მიმდებარედ არსებული დანაგვიანებული გარემოს გასუფთავება, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მუნიციპალიტეტში რამდენიმე სოფელი, რომელიც დარჩენილია ნარჩენების გატანის მომსახურების გარეშე, ეს გარემოება კი კვლავ ქმნის სტიქიური ნაგავსაყრელის წარმოშობის წინაპირობებს;
- მოსაკრებლის ამოღების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისია, განსაკუთრებით სოფლებში;
- ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად, ჯერ კიდევ არ არის დაწყებული ნარჩენების სეპარაცია, შესაბამისად მუნიციპალიტეტში არ არსებობს სეპარირებული ნარჩენების განთავსების კონტეინერები;
- ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობების შესახებ, ინფორმაციის ნაკლებობაა მუნიციპალიტეტში, რასაც მოსახლეობის გამოკითხვაც ადასტურებს;
- მუნიციპალიტეტში ამ დრომდე არ ჩატარებულა ნარჩენების მორფოლოგიური კვლევა, რაც ნარჩენების მართვის გეგმით არის გათვალისწინებული.
- მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია, ნარჩენების მართვის სეპარირებისა და გადამუშავების შესახებ. შედარებით მეტი ინფორმაცია გააჩნიათ სკოლების მოსწავლეებს, მასწავლებლებს;
- ადგილობრივი კერძო ბიზნესი დაინტერესებულია ნარჩენების მართვის სეპარაციასა და მის დახარისხებაზე, მაგრამ ამ პროცესში ვერ ერთვება მუნიციპალიტეტის მხარდაჭერისა და თანამონაწილეობის გარეშე;

- მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავების ბაზარი არ არსებობს და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში მოქმედი კერძო სექტორი სუსტია;
- მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურებს არ გააჩნია საქმიანი ეზო, საკუთარი სამრეცხაო, სადაც უნდა მოხდეს უსაფრთხოდ და ყველა არსებული სტანდარტის დაცვით ნაგავმზიდი მანქანების და სხვა სახის ტექნიკის, ურნების შეკეთება და გარეცხვა;
- მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პრობლემაა სამშენებლო ნარჩენები. მუნიციპალიტეტის მიერ, ოფიციალური ადგილი (სამშენებლო ნარჩენების დროებით გასათავსებლად ამოვსების სამუშაოში გამოყენების მიზნით, ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 21, ნაწილი 5<sup>1</sup>)-სამშენებლო ნარჩენების განთავსებისთვის ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში სამშენებლო ნარჩენები როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან ხვდება ოფიციალურ ნაგავსაყრელზე;
- ასპინძის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს არ აქვთ სამედიცინო დაზღვევა და შესაბამისად არ არის ბიუჯეტში გათვალისწინებული მათი ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები;
- მოძველებულია მუნიციპალიტეტში ნარჩენების შესაგროვებელი ტექნიკა, ნაგავმზიდი მანქანები და არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის მზარდი ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე;
- მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული გამოწვევაა მოსახლეობის დაბალი ცნობიერების დონე, განსაკუთრებით გარემოს გამიზნულად დანაგვიანებისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების დაწვის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების მართვის ხუთწლიან გეგმაში ამ საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად;
- ჯერ არ დაწყებულა ფართო მასშტაბიანი მუნიციპალური ნარჩენების სეპარაცია და ისე გატანა;
- 2022 წლის ბიუჯეტში კვლავ არ იყო გათვალისწინებული ხარჯი სეპარირებული ურნების შექმნა-განთავსების შესახებ;
- მუნიციპალიტეტის ეფექტური ღონისძიებებიდან უნდა აღნიშნოს 400-ზე მეტი სოციალურად დაუცველი მოქალაქის ჩართვა დასუფთავების საქმიანობებში.
- საკმაოდ დაბალია სოფლების მოსახლეობის, ფერმერების ცნობიერება კომპოსტირების გამოყენების მეთოდოლოგიის შესახებ

## რეკომენდაციები

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ხელი შეუწყოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ნარჩენების მართვისათვის საჭირო რაოდენობის სპეც. ტექნიკისა და შესაბამისი ინვენტარის შესაძენად;
- ნარჩენების მართვის სტრატეგიის შესაბამისად, დროულად უზრუნველყოს რეგიონებში ევროპული სტანდარტების დაცვის შესაბამისად რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობა, რის შედეგადაც უფრო დროულად მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული ნაგავსაყრელის დახურვა და სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია;
- სასურველია, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა იზრუნოს იმისათვის, რომ გამოიყოს ადგილი და მოეწყოს ცალკე ტერიტორია, კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც შესაძლებელი იქნება

მუნიციპალიტეტში არსებული სამშენებლო ნარჩენების განთავსება და რომელიც გამოყენებული იქნება სხვადასხვა სამუშაოების განხორციელებისათვის.

- სასურველია მუნიციპალიტეტებმა უფრო ახლოს ითანამშრომლონ გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებები რეგიონში გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით;
- ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ასპინძის მუნიციპალიტეტში მერიის სამსახურების მხარდაჭერით დაიწყო ნარჩენების სეპარაციის პროცესის ხელშეწყობა და წახალისება, შესაბამისი ხარჯ-სარგებლის განსაზღვრა;
- ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ და აიპი კეთილმოწყობის სამსახურმა იზრუნოს მომსახურე პერსონალის სპეცტანსაცმლითა და დეზინფექციის საშუალებებით დროული აღჭურვისათვის, უზრუნველყოს პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უფრო ეფექტურად დაცვის შესაძლებლობები;
- სასურველია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ იზრუნოს დასუფთავების სამსახურში მომუშავე პერსონალისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის ამოქმედებაზე;
- ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს დასუფთავების სამსახურების ქვედა რგოლების გადამზადება;
- მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ნარჩენების კონტეინერების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდა;
- მეტი ინფორმაცია მიეწოდოს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას, თუ რა სახის მომსახურებაა მათთვის გათვალისწინებული ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით, როგორია პროგნოზი, როგორ გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა, როგორ მოხდება იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ჯერ კიდევ არსებობს მაღალმთიანი სოფლების მომსახურების შემთხვევაში.
- ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტში ეფექტური მართვის უზრუნველყოფისათვის საქმიანი ეზოსა და ტექნიკისათვის სამრეცხაოს ამოქმედებას;
- გამხორციელდეს სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია /რემედიაცია და გარემოს დასუფთავების აქციების რეგულარული ორგანიზება მუნიციპალიტეტების დონეზე;
- ადმინისტრაციული სტრუქტურების ხელთ არსებული მექანიზმების (ჯარიმები, გაფრთხილება) უფრო ეფექტიანი ამოქმედება კანონდამრღვევების წინააღმდეგ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საპატრულო პოლიციისა და რეგიონული გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის გააქტიურებით;
- უზრუნველყოს, ხელი შეუწყოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, ორგანული ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შიდა მეურნეობებში კომპოსტირების მეთოდების დანერგვისა და გამოყენების შესახებ, რომელიც ასევეა გათვალისწინებული ნარჩენების მართვის ხუთწლიან გეგმაში.
- მუნიციპალიტეტის მერიამ, კეთილმოწყობის სამსახურებმა უზრუნველყონ კონსულტაციების ჩატარება მუნიციპალიტეტის სოფლებში ორგანული ნარჩენების კომპოსტირების მეთოდის დანერგვისათვის;
- მნიშვნელოვანია, ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმის გაუმჯობესება-საქმიანობებზე უფრო კონკრეტული თანხების, დროისა და პასუხისმგებელი სამსახურის მითითება. ასევე, არსებული გამოწვევების შესაბამისად ცვლილებების შეტანა, საჭირო რესურსების იდენტიფიცირებით.
- ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმის შესაბამისად შემუშავებული იქნას ყოველწლიურად მუნიციპალური ნარჩენების მართვის წლიური სამოქმედო გეგმა და განხორციელდეს მისი შესრულების პერიოდული მონიტორინგი.

- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების შესწავლა /გამოყენება;
- მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების საკითხებზე მოსახლეობის ყველა ფენაში ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა; საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირებულობა, როგორც ახალი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების, ასევე გეგმის განხორციელების პროცესში (კომპეტენციის ფარგლებში).

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

- საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი
- ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016-2030
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ სტრატეგია 2014-2024 წ
- „მუნიციპალური ნარჩენების მართვა“, მომზადებულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების მიერ პროექტი"დავიცვათ საქართველოს სისუფთავე " ფარგლებში შვედეთის ხელშეწყობით საქართველოში 2020 წელი
- „სამცხე-ჯავახეთს მედიის განვითარების ცენტრი ევროკავშირისა და საქართველოს სტატეგიული კვლევებისა განვითარების ცენტრის დაფინანსებით სუფთა რეგიონი–გზა ევროპისაკენ“
- „ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხშირად დასმული კითხვები“ მომზადებულია პროექტის ელექტრონული ნარჩენების მართვის შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში
- „ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების შეფასება“, მწვანე ალტერნატივა ნარჩენების სექტორის მიმოხილვა
- „ნარჩენების სექტორისთვის“, ანგარიში მოამზადეს ნათელა დვალიშვილმა და ანა სიხარულიძემ მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია“. 2017



## **ელექტრონული ლიტერატურა:**

<https://studentresearch.iliauni.edu.ge/ra-aris-narchenebis-marthva-da-3r-initsiativa/><https://www.facebook.com/europeanunioningeorgia/videos/771444523420447/>

**ფოტოები გადაღებულია მონიტორინგის საველე სამუშაოებისა და შეხვედრების დროს, ავტორები: ცირა მესხიშვილი, თამარ სამსონიძე, მარიამ კაპანაძე**

## მოსახლეობის ცნობიერების კვლევის ანალიზი


მონიტორინგის ფარგლებში პროექტის კვლევის ჯგუფმა შეარჩია ასპინძის მუნიციპალიტეტის დაბასა და 11 ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა – მიზნობრივი ჯგუფები, სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით. გამოიკითხა 180 მოქალაქე, აქედან სოფლებში მცხოვრები ფერმერები და სამეურნეო საქმიანობით დაკავებული მოსახლეობა, პედაგოგები და სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები. კვლევის მიზანი იყო გაგვეგო, თუ რა სახის ინფორმაცია გაჩნიათ ასპინძის მუნიციპალიტეტის დაბასა და 11 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ სამიზნე ჯგუფებს ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შესახებ, იციან თუ არა, რას ნიშნავს სეპარირება, რეციკლირება, კმაყოფილები არიან თუ არა ნარჩენების გატანის მომსახურებით, იხდიან თუ არა მოსაკრებელს, საკმარისია თუ არა სოფლის ტიპის დასახლებებში კონტეინერების რაოდენობა? იყენებენ თუ არა კომპოსტირების მეთოდს. მოსახლეობის გამოკითხვა განხორციელდა ანკეტირების მეთოდით. გთავაზობთ კითხვარის ანალიზს.



**ანკეტირების კითხვები:**


1.

გსმენიათ თუ არა ინფორმაცია ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მათვის 5 წლიანი გეგმის შესახებ?




2.

ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა აღნიშნული გეგმის შემუშავებაში ან განხილვაში?



3.


არსებობს თუ არა თქვენს დასახლებაში სტიქიური ნაგავსაყრელი – ადგილი სადაც მოსახლეობა თვითნებურად ყრის ნარჩენებს?




■ არსებობს    ■ არ არსებობს    ■ არ მიმიქცევია ყურადღება




4.




5.



6.




7.




8.

ხართ თუ არა კმაყოფილი დასუფთავების სამსახურის მუშაობით?




9.


დაუჯარიმებიახართ თუ არა თქვენ ან თქვენი ახლობელი გარემოს დაბინძურებისთვის?




10.




11.




12.




13.




14.




15.



16.




17.






18.

გაქვს თუ რა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საგანმანათლებლო სისტემაში მოსწავლეებს უტარდებათ გაკვეთილები და შეხვედრები გარემოს დაცვის საკითხებზე?




19.


როგორ ფიქრობთ, უნდა ისწავლებოდეს თუ არა ნარჩენების მართვის საკითხები სკოლებსა და ბაღებში?




20.



21.















გამომცემლობა

**“მეკოლორი”**

[www.mcolour.ge](http://www.mcolour.ge)